112-ის დრეროთ...

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

№28, დეკემბერი 2015

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური,
მარიამ კიკნაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

ახალი წლის დამე 112-ში 83.4

112-ში დაწყებული სიყვარულის ისტორია 83.5-6

საიდუმლო სანტა 112-ში 83.7

საჯარო სკოლის მოსწავლეების ვიზიტი 112-ში 83.8

შშმ პირების რეგისტრაცია 112-ში
გრძელდება 83.9

„გმადლობ, რომ სიცოცხლე
გადამირჩინე!" 83.10

ქართველმა სტუდენტებმა
უსინათლოებისთვის ინოვაციური
სათვალე გამოიგონეს 83.11

ედიტ პიაფი... 83.12

დანიის სამეფო ოჯახი 83.13

გმირი ცხოველები 83.14-15

უცნაური ზარები 911-ზე 83.16-17

ახალი წლის ღამე 112-ში






112-ში დაწყებული სიყვარულის ისტორია

თიკა ჩაცხაძე / დათო ბაშელეიშვილი

სიყვარულის ისტორიამდე...

თიკას ბაღში სიარული არ უყვარდა, სულ ტიროდა... სკოლაში ბეჯითი ბავშვი იყო... ბავშვობიდან ჟურნალისტობაზე ოცნებობდა... სკოლის დამთავრების შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. თუმცა მოგვიანებით სხვა გზა აირჩია...

-„მინდოდა კომუნიკაცია მჭონოდა ხალხთან და მათ ყველაზე მძიმე წუთებში დავხმარებოდი...“ ამიტომ, 112-ში დაიწყო მუშაობა. მაშინ, მხოლოდ 20 წლის იყო, თავიდან ძალიან გაუჭირდა და ყველა გადაუდებელ შემთხვევას განიცდიდა.

დათოს, თიკასგან განსხვავებით ბაღში სიარული უყვარდა... ბავშვობიდან ექიმობაზე ოცნებობდა და 12 წლის იყო, როდესაც ოპერაციას დაესწრო. შემდეგ პოლიტიკოსობა და პარლამენტში მუშაობა უნდოდა, ამიტომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად ლექტორის ასისტენტობასაც ითავსებდა, თუმცა შემდეგ მისი პროფესიული გზაც შეიცვალა. 112-ში რეზიუმე გააგზავნა და შესარჩევი ეტაპებიც წარმატებით გაიარა. -„ექსტრემალური სამსახურია, ყველაფერი უნდა გააკეთო სწრაფად და არ გაქვს შეცდომის დაშვების უფლება...“

სიყვარულის ისტორია...

დათომ თიკა სტაჟირების დროს გაიცნო. პირველად, როცა თიკა დაინახა ცდილობდა არ შეემჩნია მისი სილამაზე და მხო-

ლოდ საქმეზე კონცენტრირებულიყო.

-„ალბათ სწორედ ეს იყო ჩემი პირველი გამოცდა, რომელიც თიკასთან სტაჟირების დროს ჩავაბარე...“

როგორც თიკა აღნიშნავს, სულ ხუმრობდა, რომ მისთვის ვინმე კარგი ბიჭი მიემაგრებინათ სტაჟირებაზე. თავიდან დათოს მკაცრად ეჭცეოდა, ზარის მიღებას ასწავლიდა და სხვა მხრივ ყურადღებას არ აქცევდა, შემდეგ კი დამეგობრდნენ...

სტაჟირების შემდეგ, ერთ ცვლაში როცა ხვდებოდნენ, ორივეს უხაროდა, ცდილობდნენ ერთმანეთის გვერდზე დამსხდარიყვნენ, მაგრამ გრძნობებს საჯაროდ არ ამხელდნენ. 12 საათი, დღეც და ღამეც ერთად იყვნენ, თან უკვირდათ, რომ აქამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს, საერთო სანაცნობო წრე, ილიაუნის სტუდენტები და უამრავი სხვა დეტალი არსებობს მათ ცხოვრებაში, რის გამოც წესით ერთმანეთს მანამდეც უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ პირველი შეხვედრის ადგილი ზუსტად, რომ 112 აღმოჩნდა.

შემდეგ, დათო ყველანაირად ცდილობდა, რომ თიკა გაენებივრებინა, სახლთან აკითხავდა და სამსახურში ერთად მიდიოდნენ. სამუშაოს შემდეგ, კი კვლავ სახლთან ტოვებდა.

ერთ დღესაც, როდესაც დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ კუს ტბაზე სეირნობდნენ, დათომ გადაწყვიტა თავის გრძნობების გამხელა... აღმოჩნდა, რომ თიკაც დათოს მიმართ იგივეს გრძნობდა...

ერთი თვის შემდეგ...

ძველ თბილისში, არტ კაფეს 144 კიბე ერთად აიარეს და საუკეთესო ხედის ფონზე დათომ თიკას ხელი სთხოვა...

დღეს უკვე ერთად ცხოვრობენ, საახალწლო სამზადისში არიან და პატარა ბარბარეს დაბადებას ელოდებიან.

112-ის დეპარტამენტი ცდილობს ყველანაირად ხელი შეუწყოს ახალგაზრდა წყვილს. სამსახურის ხელშეწყობით ისინი ერთ ცვლაში მუშაობენ, ერთად გადიან შესვენებასა თუ შვებულებაში.

112-ში ერთად მუშაობა უმარტივებთ მათ სამუშაო პროცესს და ბედნიერები არიან, რომ ყოველდღიურად ეხმარებიან ადამიანებს, ყველაზე მძიმე წუთებში.

საიდუმლო სანტა 112-ში

საჯარო სკოლის მოსწავლეების ვიზიტი 112-ში

2015 წლის დეკემბერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, სოფელ მისაქციელის, თბილისის მე-12 და 117-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს და 112-ის შესახებ სრული ინფორმაცია მიიღეს. ცენტრის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს დეტალურად აუხსნეს, თუ რა შემთხვევაში უნდა დარეკონ გადაუდებელი დახმარების ნომერზე და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან.

მოზარდებმა ასევე შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია 112-ში ცრუ ზარის განხორციელება და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებში.

პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.



შშმ პირების რეგისტრაცია 112-ში გრძელდება

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი აგრძელებს SMS და ვიდეო ზარის მომხმარებელთა რეგისტრაციის პროცესს.

2015 წლის 10, 16 და 23 დეკემბერს, 112-ის წარმომადგენლებმა ყრუ და სმენადაქვეითებული პირები დაარეგისტრირეს და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სერვისის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 112-ის პროექტში, 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

112-ის მიზანია SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში დაარეგისტრიროს საქართველოში მცხოვრები ყველა ყრუ და სმენადაქვეითებული პირი, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ გადაუდებელი დახმარების ნომრით სარგებლობა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს და სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია 112-ის ვებგვერდზე: www.112.ge

„გმადლობ, რომ სიცოცხლე გადამირჩინე!"

2015 წლის 16 დეკემბერს, 112-ის თანამშრომლებმა, სისხლის უანგარო დონორის აქციაში - „გმადლობ, რომ სიცოცხლე გადამირჩინე!" მიიღეს მონაწილეობა.



ქართველმა სტუდენტებმა უსინათლოებისთვის ინოვაციური სათვალე გამოიგონეს

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებმა უსინათლოებისთვის ინოვაციური სათვალე გამოიგონეს. სათვალე მომხმარებელს წიმააღმდეგობებს ვიბრაციით ატყობინებს და ასე ეხმარება გზის გაკვლევაში.

უნივერსიტეტის ცნობით, ჯიტას ორგანზებულ მარათონში აღნიშნულმა გამოგონებამ პირველი ადგილი დაიკავა. სტუდენტებმა სათვალე 48 საათის განმავლობაში ააწყვეს.

გამოგონება აგრარული უნივერსიტეტის ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტებს - ანი ლელაშვილს, გიორგი დიღმელაშვილსა და ანდრო ლომინაძეს ეკუთვნით. გუნდში ასევე იყვნენ თსუ-ს სტუდენტები - ელენე საჯაია, შაკო არევაძე და 126-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა დევაშვილი.

გამოგონებამ ასევე საუკეთესო დიზაინის ნომინაციაშიც გაიმარჯვა.

წყარო: www.goodnews.on.ge



ედიტ პიაფი

1944 წელს, ედიტ პიაფს გერმანულ კონცლაგერში ფრანგი ტყვეებისათვის კონცერტის ჩატარება შესთავაზეს. მომღერალი დაუყოვნებლივ დათანხმდა. გამოსვლის დასრულებისთანავე ედიტმა ნებართვა ითხოვა, რომ თანამემამულეებთან სამახსოვრო ფოტოს გადაღების უფლება მიეცათ. გერმანელებს უარი არ უთქვამთ და ფრანგმა მომღერალმა ქალმა 120 ფრანგ ტყვესთან ერთად გადაიღო სურათი.

პარიზში დაბრუნებისთანავე პიაფმა და მისმა თანაშემწე - ანდრე ბიგარმა ფოტო გაადიდეს, თითოეული სახე ამოჭრეს და ყალბი პასპორტები დაამზადებინეს.

გარკვეული ხნის შემდგომ პიაფი განმეორებით ეწვია იმავე ბანაკს კონცერტის ჩატარების მიზნით, ჩემოდნის სამალავში 120 ყალბი პასპორტი იდო.

გამოსვლის დასრულებისთანავე, მომღერალმა თითოეულ ტყვეს ავტოგრაფი და მის სახელზე დამზადებული ყალბი პასპორტი გადასცა.

120-მა ფრანგმა ტყვემ გაქცევა მოახერხა და ყველა მათგანი გადარჩა!

წყარო: www.mikhael-mark.livejournal.com

დანიის სამეფო ოჯახი

მეორე მსოფლიო ომში, როცა ყველა ქვეყანამ ათეულ ათასობით ებრაელი მოქალაქე დაკარგა, დანიაში მხოლოდ 10 ებრაელი დაიღუპა. ეს კი დანიელთა მედგარი სულის გამო გახდა შესაძლებელი! როდესაც ფაშისტურმა გერმანიამ გამოსცა ბრძანება - ყველა ებრაელს ტანსაცმელზე დავითის ექვსქიმიანი ებრაული ვარსკვლავი მიეკერებინა, ეს დანიის ყველა მოქალაქემ გააკეთა, როგორც ებრაელმა, ასევე არაებრაელმაც!

დანიური სამეფო ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ პირველები, რომლებმაც ექვსქიმიანი ვარსკვლავი ტანსაცმელზე მიიკერეს.

წყარო: www.vk.com

დანიის სამეფო ოჯახი

გმირი ცხოველები

ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანის საუკეთესო მეგობრად ძაღლები არიან აღიარებულნი, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ხშირია შემთხვევები, როცა სხვა სახეობის ცხოველებიც ისევე უანგაროდ და თავდადებით იბრძვიან თავიანთ პატრონების სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც ძაღლები...

„შნაუცერი"

2007 წლის ოქტომბერში, ღამის ორ საათზე, კატა - სახელად „შნაუცერი" პატრონების საძინებელში შევარდა, საწოლზე ახტა და ტრუდი გაის გაღვიძებას შეეცადა. კბენდა, კაწრავდა, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ პატრონი გაეღვიძებინა. თავიდან ქალმა ყურადღება არ მიაქცია ოთხფეხა მეგობრის „ცელქობას", თუმცა მალევე დაეჭვდა, მეუღლე გააღვიძა, სახლი შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ სარდაფში ბუნებრივი აირის მილი გამსკდარიყო, სახლი გამოყონილი აირით იყო სავსე და ერთ პატარა ნაპერწკალსაც კი შეეძლო საშინელი უბედურება დაეტრიალებინა..

ოჯახმა სასწრაფოდ დატოვა შენობა და 911-ზე დარეკეს. მეხანძრეები მალევე მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

„ვილლი კვაკერი"

2 წლის ჰანნა, დედამ და ძიძამ ოთახში მარტო სულ რამდენიმე წუთით დატოვეს. უცბად გოგონას საკვები გადასცდა და იხრჩობოდა. ეს იქვე მჯდომმა თუთიყუშმა - „ვილლი კვაკერმა" შეამჩნია და ყვირილი ატეხა - „დედა, ბავშვი! დედა ბავშვი!", ფრინველი ხმამაღლა ყვიროდა და ფრთებს ატყლაშუნებდა. ხმაურზე დედა და ძიძა შემოვარდნენ და გოგონას გადარჩენა შეძლეს.

თავდადებული „ვილლი კვაკერი" ადგილობრივ გმირად აღიარეს და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის „წითელი ჯვრის" პრემიითაც დააჯილდოვეს.

წყარო: www.muz4in.net

უცნაური ზარები 911-ზე

მანქანაში ჩაიკეტა...

ფლორიდაში მცხოვრებმა ქალბატონმა 911-ზე დარეკა.

- „მანქანაში ჩავიკეტე, გასაღები კი გარედან უკეთია კარს, ელექტრო მოწყობილობები არ მუშაობს, აქ ძალიან ცხელა და თავს უკვე ცუდად ვგრძნობ“ - განუცხადა ქალმა 911-ის დისპეტჩერს.

დისპეტჩერმა „დაზარალებულს“ ურჩია კარის სახელური გამოეწია, რის შემდეგაც მანქანის კარი უპრობლემოდ გაიღო და ქალბატონი „გადარჩა“.

თავისი ფეხით ციხეში...

ორეგონის შტატში 911-ზე მამაკაცმა დარეკა პრეტენზიით, რომ ღამის კლუბში არ უშვებდნენ.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გახლდათ და გარკვეული დოზა წინდაშიც უპოვეს.

მომჩივანი მამაკაცი ნარკოტიკის მოხმარებისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

გაქცეული თაღლითი...

ფლორიდის ქალაქ სარასოტაში პოლიციის ეკიპაჟი ეჭვმიტანილ მამაკაცს მისდევდა. მამაკაცმა პოლიციისგან თავის დასაღწევად ეშმაკობას მიმართა - დარეკა 911-ზე და შეწუხებული ხმით მიაწოდა ინფორმაცია, რომ ძარცვის თვითმხილველი გახდა, შემთხვევის ადგილად კი ზუსტად ის რაიონი მიუთითა, სადაც თვითონ იმყოფებოდა.



მოხერხებულ თაღლითს იმედი ჰქონდა, რომ პოლიციის ეკიპაჟი მის დევნას თავს დაანებებდა და ძარცვის ადგილისკენ გადაინაცვლებდა.

ასეც მოხდა, თუმცა მისი დევნა ახლა სხვა ეკიპაჟმა განაგრძო.

ხანმოკლე დევნის შემდეგ დამნაშავე დაიჭირეს, მანქანაში იარაღი იპოვეს, მის ტელეფონში კი 911-ზე განხორციელებული ზარი...

წყარო: www.pisali.ru

№28, დეკემბერი 2015

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკროორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge
pr@112.ge